


# თავისუფალი საქართველო

მრავალი მავილი  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 6 (11)

1 III 1991

საბჭოთაო  
ქართული  
საბჭოთაო



## საქართველო აპასახ გალაიტანს

ბოლო დროს ჩვენი საზოგადოება მოიცვა ჯაბა იოსელიანის ბელზე ზრუნვამ. იმართება შეხვედრები, იწერება მიმართვები, გროვდება ზელოწერიები, ინიშნება აქციები... არის მცდელობა, რომ ყოველივე ამის განსაკუთრებული მასშტაბი მიენიჭოს, ჯაბა იოსელიანის ბედი განზოგადდეს და ეს „პოლიტიკური“ ფუსფუსი მოინათლოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპების გადარჩენისთვის წმიდათაწმიდა ბრძოლად.

ეს ბრძოლა გუშინ არ დაწყებულა. ის მიმდინარეობს მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც საქართველოში ეროვნული მოძრაობა მომძლავრდა. უბრალოდ, ყველა ცალკეულ ეტაპზე სხვადასხვა დროში გამოდის და სხვადასხვა დევიზით გვიპირისპირდება. ის ხალხი, ვინც დღეს ეროვნულ მოძრაობას დიქტატორობას სწამებს, სულ რაღაც 2 წლის წინ, დავით გარეჯის დასაცავად გამართული აქციების დროს, აღმფოთებით იმეორებდა: დავით გარეჯი დავით გარეჯად და ზოგიერთი გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს ყველა რიგად, ეს ხომ პროვოკაცია არისო. როცა შეეგუნენ იმ აზრს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს იდეა ჩვენს აზროვნებაში დამკვიდრდა, შემოგვიტყეს არაპროფესიონალიზმის წინააღმდეგ ლაშქრობით. დამოუკიდებელ საქართველოს არაპროფესიონალი კადრები არა სჭირდება და მაგ მიტინგებზე დგომას, ჯობს, ყველამ თავისი საქმე აეთქოსო (სამწუხაროა, რომ ეს ლოზუნგი დღეს აღარ არის აქტუალური, თორემ პარლამენტის მიღმა იმდენი პარტია დარჩა, თითოს რომ თითო პეეტარი მიწა გაეთხონა, დღეს ჩვენი სასურსათო პრობლემა გადაწყვეტილი იქნებოდა). განსაკუთრებით დამაჯერებლად ჟღერდა მასობრივი მტკიცება (ტელეეკრანებიდან, გაზეთებიდან) — ძალით რუსეთთან ვერაფერს გახდებით, აქ დიპლომატიაა სჭირო, თქვენ კი ამისი უნარი არა გაქვთ, დაანებეთ საერთოდ პოლიტიკის თავი, თორემ მთელ საქართველოს დალუპავთო. მერე იყო თურქეთის კამპანია. გავა თუ არა რუსეთი, თურქეთი შემოვა და ეს გაცილებით დიდი უბედურება იქნებოდა. მანამდე იმასაც სერიოზულად გვიმტკიცებდნენ, საქართველოს რუსეთის გარეშე არ შეუძლია არსებობა, თავის თავს ვერ შეინახავსო. ახლა ძნელი გასასწავლებელია ყველა ამგვარი „ეტა-

პი“, მაგრამ ის კი უდავოდ ყველას კარგად ახსოვს, ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ახლარომ კონგრესს ჩახუტებია, ეროვნულ მოძრაობას, მისი ლიდერების — გია ჭანტურიასა და ირაკლი წერეთლის, დაბალი ინტელექტუალური დონის გამო იწუნებდა — ამათ სად უნდა წავიყვანო, ვერა ხედავთ, რას გვანბნო. გულწრფელად საბოდიშო გვაქვს ორივე მხარის წინაშე, დასმენასავით გამოდის, მაგრამ რაც იმ პერიოდში ჭანტურია-წერეთლის დაცვაზე ენერჯია დაგვიხარჯავს, ნაწილობრივ მაინც შეასუბუქებს ჩვენს დღევანდელ „ავაკობას“. ყველაზე ძლიერ დარტყმებს „საპარლამენტო ბრძოლის უარყოფის“ გამო ვიღებდით: ასე არაფერი გამოგვივა, საპარლამენტო გზას უნდა დავადგეთ, მიტინგებით ქვეყანა ვის უშენებიაო... იმჟამად საპარლამენტო გზა იმით ჩანდა განსაკუთრებით მომხიბლავი, რომ საყოველთაოდ იყო აღიარებული — ჩვენ ამის კულტურა არა გვაქვს, ბალტიისპირეთისგან უნდა ვისწავლოთ. სწავლას, მოგვსენებათ დრო სჭირდება, და ეს რაღაც ვადით მაინც დაგვაშორებდა იმ საშინელ დროს, როცა ეს „ბრბო“ ანუ ჩვენ, მთელი ქართველი ერი თავის უმთავრეს საწადელს, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, განახორციელებდა.

მთელ ამ შეგონებებს, ყველა ეტაპზე მისამღერით გასდევდა მიტინგები ზოგადი ქართველების უკულტურობის, არაკვილიზებულობის, გაუნათლებლობის, გაუტანლობის, პოლიტიკური მოუწიფებლობის შესახებ, სავანებოდ მღელვარედ ითქმებოდა — „უმართავი მასები“. ზოგჯერ ჩვენი შეგვეპარებოდა ხოლმე ეჭვი (რას იზამ, აგიტაციას აქვს თავისი ძალა) მართლა რომ უმართავი აღმოვჩნდეთ, რა გვეშველება-თქო. ღვთის მადლით არ აღმოვჩნდით, ეს დღემდე სიამაყის და იმედის წყაროა ჩვენთვის და კიდევ ბედნიერი რწმენისა, რომ საქართველოში „პროვოკაცია არ ვარდება“.

ახლა მიმოვიხედოთ ჩვენი გარემო — ზომი იგევე ხალხია დღეს დიქტატორობის შიშით შეპყრობილი, ვინც მთელი ამ ხნის მანძილზე სხვადასხვა ექვემდებარება. ერთი მნიშვნელოვანი დეტალი რომ არა, ვიფიქრებდით, ესენი საერთოდ ექვიანი ხალხია, ყველაფრის ეშინიათ და თავისდაუნებურ-

ად ჩვენც გვაზიარებენ თავიანთ განწყობას. ეს მნიშვნელოვანი დეტალი კი სწორედ ყველაფრის შიშია. დააკვირდით, ეშინოდათ მიტინგების, უნდოდათ საპარლამენტო გზა — ახლა ებრძვიან პარლამენტს, მართავენ მიტინგებს. ეშინოდათ, ჭანტურია-წერეთლის დაბალმა ინტელექტმა საქართველო უფსკრულში არ გადაიხეხოსო, — ახლა, მიუხედავად იმისა რომ არც ერთს ამ მოკლე ვადაში ემბრიჯი არ დაუმთავრებია, იმდენად აღარ აშინებთ ეს, რომ მათი ზელოწერივლობით იბრძვიან საქართველოს დასახსნელად დიქტატორის კლანკებისაგან. ეშინოდათ არაპროფესიონალიზმის გარეშე პარტიოტოზმს რა ძალა აქვსო და ახლა მთლად, მართლა წინდებენ პარტიოტოზმს ცოდვებს იმავე „პარტიოტოზმის“ სიყვარულით (კი ვიცით, რა ფასი აქვს იმის პარტიოტოზმს, ვისაც მხოლოდ 60 წლის ასაკში, ისიც სხვის ჯინაზე, შეაწუბებს პირველად ეს გრძნობა, მაგრამ აღარ გვიანდა ახლა ამაზე ლაპარაკი) რაღა ბევრი გავაგრძელოთ და დღეს აღარც თურქეთის ეშინიათ, აღარც რუსეთის, აღარც ეკონომიკური იზოლაციის, აღარც იმის, რომ ობოლი ერი ვართ და პარტიოტოზმი არა გვყავს... და რაც მთავარია, ისე გამოიყურებოდნენ, თვით გამსახურდიასი, „მძვინვარე დიქტატორისა“ კი არ ეშინიათ. პირუთვნელად იცავენ დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებს, განუკითხავი, „სახელმწიფოებრივი ტერორის“ თარეშის პერიოდში ხშირად მაღლა მოითხოვენ ტელევიზიის, ჯაბა იოსელიანის, პრესის, სიტყვის თავისუფლებას... შესაშური გაუცქობაა, თითქმის გმირობა.

მაგრამ რა პარადოქსულადაც არ უნდა ელერდეს, ყველაფერი ეს ისევ შიშის დასაბრუნებლად კეთდება. შიშისა, საქართველოს დამოუკიდებლობის წინაშე, შიშისა, ქართველი ერის წინაშე. ეს ყოველივე შიში, რის გასალამაზებლადაც ამდენი პატარ-პატარა შიშების მოხმობა ზღებოდა საქართველო ამ ხნის მანძილზე. დღევანდელი კამპანია ჯაბა იოსელიანისა და დემოკრატიის დასაცავად სხვა არაფერია, თუ არა ახალი მიზეზი შეიფერხოს საქართველოს 200-წლიანი ოცნების განხორციელება. ამ ახალ სექტაკლში ყველა თავის როლს ასრულებს, ზოგი გმირისა, ზოგი სტატისტიკისა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ იქ ნამდვილი და ქეშმარიტი არაფერია — არც ერთი განცდა, არც ერთი მონოლოგი, არც ერთი რეპლიკა. მთავარი ამბავი ტექსტის შიშის თამაშებია. მაგრამ ამისი ნუ შეგვეშინდება, ესეც გადაივლის: „წყალობა წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი ღარჩებინაო“ — საქართველო ამასაც გადაიტანს.

**იტალიელი კანონმდებელი უდიდეს საზოგადოებას ხელდასხმისა და შიშისაგან ახსნის გარდადგინებაში, თუნდაც მათ არაპირობადი კონკრეტული დანახარჯი არ ჩაადინოთ.**

„როსტომის შეიკრიბანე ყოფილ „ივალში“? — 80-2 გვ.

---

**ხშირად გაიგონებთ, სკოლაში არაფერს აღარ ახსავლიანო. ეს ნახევარი უბედურებაა. მთავარი უბედურება კი ის არის, რომ პატარებს რეჟიმსხვებს ვუკლავთ.**

„პროფესიონალიზმი საზოგადოების სავსანურია“ — 80-4 გვ.

---

**რა რელიგიური უთანხმოებებს არ უნდა არსებობდეს ჩვენსა და კავკასიულ ხალხებს შორის, არსებობს საუბრეები, ეს არის კავკასიური ღირსება, რომელიც განუყოფლად გვაკავშირებს ამ ხალხებს.**

„კავკასია აღიღვანეს თავის ღირსებას“ — 80-6 გვ.

**3000 15 გარტაგეა მოასწრავს გამოცხრას, აპრილიდან ყოველკვირაულად ვიდივს გაზეთს**

**„თავისუფალი საქართველო“**

ფასი: 1 თვით — 2 მან. 15 კაპ.  
 3 თვით — 6 მან. 45 კაპ.  
 6 თვით — 12 მან. 90 კაპ.  
 12 თვით — 25 მან. 80 კაპ.



# რა ღვერტი გაგვიწყრა?

ღვერტი ნების ძალმომრეობით შეზღუდვისა ან საერთოდ ამ ხელისუფლების ძალმომრეობით დამხობისა.

დასასრულ უნდა შევინებო, რომ უცხოეთის სახელმწიფოებში ფართო ღვერტი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მათი სახელმწიფოებრივი სისტემა დასაბუთებულია და მათი სახელმწიფოებრივი სისტემა დასაბუთებულია და მათი სახელმწიფოებრივი სისტემა დასაბუთებულია...

**პრობლემატიკა**, რამაც ეს წერილი დაიწყო — სამშობლოს სიყვარულია და იმის შეგნება, რომ ვინც ოდნავ მაინც იცნობს საქართველოს წარსულს, არ შეიძლება დღეს მხოლოდ გულგრილი მეთვალყურის როლს დასწავდეს.

მეც ერთ-ერთი ამთავანი ვარ, ვისაც სურვილი აქვს გაერკვეს ჩვენს სურვილს მიმდინარე მოვლენებში და ნაწილობრივ მაინც თუ შევძლებ ამას, ჩემი მიზანი მხოლოდ იქნება.

ჩვენმა დიდმა „მეგობარმა“ ჯერ 1801 წელს წაგვართვა თავისუფლება და თავისი „დერეჟაციის“ ერთ-ერთ პროვინციად გვპყრო. უბრალოდ მიშვეულმა იმპერიულმა დაავადებამ ერთი საუკუნის შემდეგ იზინა თავი. კოშმამ ჩავარდნილ მოძალადეს ყველა მხრივ დაეფანტა „მოყვარებები“. ყველა თავისებურად ცდილობდა თავის დაღწევას. საქართველომაც საკუთარი გზა ამოიჩინა — თავისუფლებამ დაეწყო. მაგრამ უკუჩვენელი სენით შეპყრობილმა უჩინებელმა ერთხელ კიდევ მოკარგა ძალ-ღონე — ემანდ უჩემოდ არ გამოვანბრებულდნენო და ისევ მაგრად ჩავვიხუტა.

წინებს, არ არის სრულყოფილი (რადგან მაინც მიწურია). მაშ, მმართველობის რა სისტემაზეა დაფუძნებული დღევანდელი მოწინავე, თავისუფალი სახელმწიფოები? არის მმართველობის მეორე ფორმა, რომელსაც თავი უკვლავ უფრო სწორად მიიჩნია და არად ავადებს უმეტესობის ანუ „ხალხის“ ნებას. ასეთ რეჟიმს დიქტატურა ჰქვია და ის განწირულია. ორივე უფრო სრულყოფილი, შეიძლება ღმერთისაგან მირონცხებული სამეფოა, მაგრამ ჩვენ ისე დავცილდით ამ მდლს, რომ მასზე ოცნება თუ შეიძლება მხოლოდ.

ჩემის აზრით, ისევ ერთი მმართველობა ჩვენითვის მიზანშეწონილი, მითუმეტეს რომ ყველაზე ძლიერი მეფობის დროსაც კი, საქართველოში, ხალხის ნებას ანგარიშს უწევდნენ და დარბაზს მართავდნენ.

ახლა ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას დავებრუნდეთ. ვთქვათ, ეს არჩევნებზე არ იყო ხალხის ნების გათვალისწინება, როგორც ამას ყოველი მხრიდან გვიჩინებენ, არამედ ისევე ცენტრის წყალობა იყო. თუცა ყველა უწყის რა წინააღმდეგობით და გაი-ვავალახით აიძულა ხალხმა საარჩევნო კანონის მიღება იგივე ცენტრის მსახურებს. ნუთუ ყველაზე სწორი გზა ბოიკოტი იქნებოდა, რაც კომუნისტებს საშუალებას მისცემდა თავის მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით საკუთარ ხმების რაოდენობა მიეღობა და ამით ბატონობა გაეჩინებინათ, რითაც საშუალება მიეცემოდათ პარაზიტული საქმიანობის გასაფართოვებლად? ვინ იცის, შემდეგ ამ ქაოსიდან ამოსვლას თუ როდესმე შევძლებდით.

მე არ მესმის იმ ადამიანების, ვინც პოლიტიკოსობას იჩენენ და ხელს უშლის თავისი საკუთარი ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას. ოპოზიცია არ ნიშნავს აუცილებლად საპირისპიროდ მოქმედებას, ამერიკაში „რესპუბლიკელები“ და „დემოკრატები“ მშვენივრად თანამშრომლობენ თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარტიის წარმომადგენელია ქვეყნის სათავეში. არც ლიბერლისტები ცდილობენ დემონსტრაციებით და სხვა პო-

ლიტიკური აქციებით, კონსერვატიული მმართველობის პარალიზება გამოიწვიონ. არავის ჰგონია, რომ ამჟამინდელი ჩვენი ხელისუფლება სრულყოფილია; მაგრამ ხალხი უკეთესს ვერ ხედავს და თუ დაინახავს, იგი არჩევანში არ შეცდება.

ხოლო რაც შეეხება დღევანდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგე ქართველებს, რომელთაც თავი ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილი ჰგონიათ და გულწრფელად თვლიან, რომ მხოლოდ მათ აქვთ ქვემარტობის ჰერტიც უნარი, ხოლო მათი სიმაღლე მიუწოდომელია უმრავლესობისათვის, გვიდა შევასხენოთ დამოუკიდებელი საქართველოს სამწლიანი ისტორია.

მიუხედავად იმისა, რომ იმჟამინდელი მთავრობა, ახლანდელისგან განსხვავებით მთლად დემოკრატიულად არ იყო მოსული ქვეყნის სათავეში, მის ოპოზიციას (ლტკ აფხაზი, დავით ჰავეაძე, მანიაშვილი, კვინიტაძე, რეზო გაბაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი), რომელიც არავის არ ჩამოუვარდებოდა არც განათლებით, არც გავარსებით, არც ვაქაცობით, შეიარაღებული უკეთესად იყო და ღვთის მადლით იარაღის ხმარებაც არავისზე ნაკლებად იცოდა, ერთხელაც არ გაუვლია გულში მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა. და თუკი პარალელურად ზრუნავს გადაყოლილი რღმე მოცილიდა მათთვის, თავდადებითაც ემსახურებოდა მას.

რეზო გაბაშვილს გერმანელმა გენერალმა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა შესთავაზა, თუ გარანტიას მოგვცემთ, რომ ერთი დღე მაინც შეინარჩუნებთ ძალაუფლებას, მთელ ამ მოლაპატე მინისტრებს ჩამოგახრბობთო. რეზო გაბაშვილმა უპასუხა — რას ამბობთ, ძლიერ მოვესწარით ჩვენი ერის მიერ არჩეულ მთავრობას და მის წინააღმდეგ როგორ წავალთო. ამის მაგალითი მრავალია. თუნდაც ის რად ღირს, რომ ქაქუცამ იარაღი მხოლოდ მას შემდეგ აი-სხა, რაც საქართველოში რუსული ბოლშევიზმის დიქტატურა დამყარდა.

მაშ დღეს რა ღმერთი გავიწყყარა? თუ დახმარება გვეთავილება, ხელს მაინც ნუ შევუშლით ჩვენივე ერის მიერ არჩეულ ხელისუფლებას; და თუ მართლაც საბრძოლველად ერჩის გული ვინმეს, უფრო ვაქაცური იქნება ჩრდილოეთში მოკალათებულ მტერს ებრძოლოს.

რეზო გაბაშვილი

## ფერილუბი რედაქციას

# თქვენ შეგეკლათ...

**ბატონო აკაკი**  
დავიწყებ ჩემი ბიოგრაფიული ცნობებით.  
ვარ ინიერი, ჩემი დარგის მთავარი სპეციალისტი. პაპა — ივანე ახალშენიშვილი, ერთ-ერთი პირველი კბილის ექიმი საქართველოში, გავიდა „ივერიის“ კორპორაციის მთავარმენეჯერის გერმანული და რუსული ენებიდან. დიდიდა — ანა ახალშენიშვილი, მასწავლებელი, თბილისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი, მთავარმენეჯერი რუსული ენიდან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მათი ნათარგმნია: „ქართული ბუღალტერი“ და „სასაქონლო“, „უსინათლო მუსიკოსი“ და სხვა. პაპა სწავლობდა პეტერბურგში ილია ქუჩაჟაძის ხარჯზე. ჩვენს ოჯახში შემოხანული ილიასწავლებელი ნინო ამჟამად მის სახლ-მუზეუმში ინახება. ჩვენი ახლი ნათესავეები გავხლდნენ ცქავტი, მარტოანი, შორეული — კ. ქემლიძე, შ. მღვიმელი. ოჯახის ნაცნობ-მეგობრები — შ. არაგვისპირელი, ფალიაშვილები, გ. ლეონიძე, ვ. გომიანიშვილი და სხვანი.

რუსლან მიქაბერიძის ბანაკში ამო-ჰყავით თავი. და თუ თქვენ ამ ბანაკის აქტიური მონაწილე არ ხართ, პასიური აუცილებლად ბრძანდებით. თუმცა პასიურობა ამ ბოლო დროს თქვენ ავადმყოფობად გეპყობთ. თქვენი საბრძოლო შემადგენელი დასარტული აქტიური სადემოკრატიული წინასაარჩევნო აქციების დამთავრებასთან ერთად. მას შემდეგ საქართველოს დემოკრატია თქვენი თამაშობით, „დუმილის ბიჭების“ წოდება მიიღო.

ჩვენ, უბრალოდ უკვდავნი, დიდხანს ვებრძოდნენ ჩვენს თავს. და ბოლოს მოწიფეს ერთი რუსული თეატრის გაუმჯობესება ჩვენი შეწყობით — რა ემართება ერის მედროშე რატომ დღეს ასევე ჩურჩულია გვიანსუსის — რუსული არ იქნის! გვიინდოდა თქვენი დუმილია გამართლება და სანახევროდ დაგვიჩერეთ, თუმცა ვაგვიჩერდით, რატომღა იბრძოდა დემოკრატობისთვის?!

ინიერი გახლდათ, მისი ცოდნა-გამოცდილება იმდენად ფასობდა, რომ მთავრობაში ბევრჯერ დაბანაკეს, სთხოვეს პარტიის მსულობა, რათა შესაბამის თანამდებობაზე დანიშნათ. არ დათანხმდა...

ამაზე ვერ გავიწყვავთ, დრო იყო ასეთი.  
სხვა რამე მაქვს სასაყვედურო. თქვენი დღევანდელი დუმილი მაწუხებს. ძალიან ოპოზიციანია ეს დუმილი... თქვენ ვნახეს მდუმარე მდგომარეობის ბალთან, რომელიც სულს ხალხმა „ჯაბახანა“ შეარქვა. ასევე მდუმარე დიქტიო ახალი მთავრობის არჩევას და ახლა თურმე უნივერსიტეტის შეთქმულებამაც მდუმარე მივილიათ მონაწილეობა. ანტაგი ენეც არ გამართლდეს და ანტაგი მქონდეს თქვენს წინაშე ბოლიში მოსახდეს.

გული მწყდება, თქვენი ნაღვლი მენანება, რომელიც უნდა ვადაპყვეს პატარა ადამიანურ სისუსტეებს. რატომ არ უნდა შემოვრჩეთ ისტორიას? თქვენ ასევე გვიწყევლებ ხალხი, თქვენსავე სიცოცხლეში. მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია ხდება — აკაკი იქ ყოფილიყო, დემოკრატია, სხვა ძალა იქ თქვენ ყოფნას აღარა აქვს. ეს ჩემგან არ გეწაფავებთ, მიხვდებით დროულად.

რამ უნდა შემრცხნახოს ისტორიის თქვენი თავი? მაპატიეთ და, თქვენი დიდი მამულიშვილობა უკვე მკვს მწყებს, რადგან არცა ხანია ფარ-ხმალი დაყარეთ

# უანიშნა პირთი ნარილის გაყო

**გაზეთი** „თავისუფალი საქართველო“ (№5, 22. 11. 1991) დაიბეჭდა ბატონი გიგა ლორთქიფანიძის მცირე წერილი, სადაც ავტორი ცდილობს დააზუსტოს ის ცნობები, რაც მან ა. წ. 19 იანვრის სხდომაზე მიაწოდა 18 ნოემბერს თვითმფრინავის გატაცების მცდელობის შესახებ №201 საქმის შემსწავლელ კომისიას. კერძოდ, ბატონი გიგა წერს: „რაც შეეხება საავადმყოფოდან ჩემს დათხოვნას, ცხადია, ეს სტაციონარის დირექტორის დაუკითხავად მოხდა, ფოფხაძემ გამომიცხადა „ედუარდმა“ შემოვიტავალა, მორჩი აქ კოტრაილს და სახლში წაიღო“.

შემოთქმულიდან გამომდინარე, თუ საავადმყოფოს დირექტორის ბნი გიგას „დათხოვნაში“ წელი იყო არ მიუბრუნის, უნდა ვიგაროვლოთ, რომ ბატონმა გიგამ თავად დატოვა საავადმყოფო ნ. ფოფხაძის ვიზიტის შემდეგ თუ ასეა, გაუგებარია, ჯერ ერთი, რატომ შეარჩია ასეთი არახელსაყრელი დრო — დამის 2 საათი, მეორეც, თუ ბატონმა ნ. ფოფხაძემ „გამოვადლო“ ბატონი გიგა, მაშ, სად და როდის მიაკითხა მას ბატონმა ავთანდილ საყვარელიძემ?

ორში ერთია, ან 19 იანვრის სხდომაზე ბატონმა გიგამ საკუთარი ხვედრის ზედმეტად დრამატიზებას მოინდომა, ან... ნ. ფოფხაძემ მისი კომისია, ქართულ პრესას, ალბათ, არც კითხულობს, სხეები კი აქ არიან...

ამაზე არ გავამახვილებდით ყურადღებას, მაგრამ არაერთგვარის ითქვა, კომისიის მუშაობის მიზანია არა ვინმეს დასაჯ, არამედ სიბრძოლის დადგენა. იმ შეთანხმების გამოშვარება, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რაც შესაძლებელი ხდებოდა ნებისმიერ დანაშაულებრივ ქმედებას სახელმწიფოს მხრიდან. ნუთუ ეს მცირედც ვერ უნდა მოვახვიროთ?!

**18 ნოემბერს** თვითმფრინავის გატაცების მცდელობის შესახებ №201 საქმის შემსწავლელი უწინაესი საბჭოს დროებითი კომისია

## საქართველოსათვის, ხოლო შეთქმულთა ბანაკს, ხეხისთ თუ უნებლიედ, კვლავ მხარს უმშვენებთ.

რა მინდა, რას მოვიტხოვ თქვენგან? საუბედუროდ აღარაფერს, დავტირი უღრთოდ დაკარგულ მამულიშვილებს. ეს ფიგურალური ნათქვამი არ გეგონოთ, ნამდვილად ვტირი. როგორ გაერიეთ „ნეოორჯონიქიდან“ მონათლულ ქანტურიანს და რეციდივისტ ჯაბა იოსელიანს ბანაკში. მეტყევით, იქ რ. ჩხეიძეა, რ. ესაძეა და მავანი და მავანიო. ისინი მაშინაც არ იღვენ იქ, სადაც ხალხი („ბრბო“) იყო. მახსოვს, „სახალხო ფორტის“ დამფუძნებელ ყიროლაზე როგორ ობსტრუქციის უწყობდნენ ბატონ ნოდარს მათთან. იმათზეც გული მწყდება, მაგრამ ისინი საქართველოს მედროშეები არ ყოფილან, ისინი ისედაც ვერ შემოვრჩებოდნენ ისტორიას. თქვენ შეგეძლოთ...

**6. ახალშენიშვილი**  
თბილისი, ნუცუბიძის შე-4 მ/რ  
კორპ. 15, ბ. 8, ტ. 31-48-04.  
23 თებერვალი, 1991 წ.

**P.S.** ტელევიზიით თქვენი გამოცხადების შემდეგ ბევრი ვიფიქრე, გამომეგზავნა თუ არა ეს წერილი. შემვრცხდით ასეთი რომ დავინახე. მაყურებელს თვალეებში არ უყურებდით. რატომ დასცილდით რეალობას, ნუთუ მართლად გგონიათ, რომ ჯაბას ეროვნულ მოძრაობასთან რამე საერთო აქვს? ან თუ წერილები ანონიმურია, რა იყოთ რომ მათი ავტორები ქალები არიან?

პუბლიკაცია მოამზადა  
თამთა ცაიკაძე



1991 წლის 23 თებერვალს ჩიხინეთ-ნახაშვიტში (ბროწონოსა და სოფელ დოლომოვოში) ჩატარდა საზოგადოებრივი მიზნები ინგოვრის და ჩიხინეთის ხალხების დემოკრატიული 47 წევრისგან შემდგომი საზოგადოებრივი მიზნების საბჭოს შექმნის შედეგად. საზოგადოებრივი მიზნების საბჭოს შემადგენელი წევრები — უზენაესი საბჭოს წევრები: ნუგზარ მგალობლიშვილი, თამარაზ გვანციალაძე, სპარაკო სამხეთა სამინი-სტროს თანამშრომლები: მარია ანთაძე, მარია ნუხა, გურამ კეკელია, ისტორიკოსი ვახტანგ ვანიანი, ოპერატორი გიორგი კონტაძე.



ჩვენი ურთიერთობის გაწყვეტამ ჩრდილო-კავკასიელი ხალხებთან ის შედეგი გამოიღო, რომ დღეს საქართველოსთვის ჩრდილოეთ კავკასია არის მხოლოდ მაკინდინური სამყარო და მეტი არაფერი. სინამდვილეში ეს ასე არ არის და არც არასდროს ყოფილა. ჩვენს შორის გათიშვა იმპერიული პოლიტიკის შედეგად მოხდა და ის ისტორიული, ძირითადი ფესვები, რომელიც აერთიანებდა ქართველსა და ჩრდილო კავკასიაში მოსახლე კავკასიელებს, მოიშალა. მთლიანად საერთო კავკასიური ცნობიერება, მთლიანად საერთო კავკასიური ფილოსოფია, არაა და არც არსებობდა, ამის ნიშნები ჩვენი ისტორიული მწერლობა, პროველი თარგმანის შთამომავლებად ქართველ-

# კავკასია აღიშვინს თავის ღირსებას

ებთან ერთად ამ კავკასიელ ხალხებსაც ასახელებს, ანუ მათ ქართველების მემკვიდრეობის მიზნებს. რუსეთის იმპერიული ძალაუფლება თავის პროლოგში თავდაპირველად ჩვენი კავკასიელი ხალხთა გათიშვის იდეა, რასაც თანდათანობით ახორციელებდნენ კიდევ. ამას მათ რელიგიური დაპირისპირებაც გამოიყენეს ჩვენს შორის. მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რა რელიგიური უთანხმოებაც არ უნდა არსებობდეს ჩვენსა და კავკასიელ ხალხებს შორის, ჩვენს ურთიერთობაში გადამწყვეტია კავკასიური ღირსება, რომელიც განუყოფელია კავკასიურ ხალხებს. ჩვენთვის, კავკასიელებისთვის ურთიერთობის წარმართველი ყოველთვის იყო, არის და, ალბათ, მომავალშიც იქნება კავკასიური ფენომენი. მე ვგულისხმობ უმთავრეს ღირებულებათა სისტემას, რომელიც ჩვენთვის საერთოა. ჩვენ ერთი და იგივე რაღაცები გვაკავშირებს და ერთი და იგივე რაღაცები გვერთხინება. ის ფაქტი, რომ კავკასიური ცნობიერება დღესაც კი განარჩევს კავკასიელს არაკავკასიელისგან, იმაზე მეტყველებს, რომ საერთო ცნობიერება, საერთო კავკასიური ღირსება ჯერ კიდევ არ არის მოშლილი. კავკასიელის შეგნებაში ისი ვერასდროს ვერ დადგება ქართველის გვერდით და ამიტომ, ქართველებისთვის ისი არასოდეს გათიშვად ჩვენთან, ინგოვრთან არ ჩერქეზთან. ისი კავკასიელებისთვის ყოველთვის არის მოსული და არა კავკასიელი. ეს მათ ცნობიერებაში დღესაც მკვიდრად ზის.

ჯერ კიდევ დეკარბისტების დროიდან რუსეთი გვემხვს კავკასიელ ხალხთა გათიშვის შედეგად კი გასახლებას. დეკარბისტების ნახაშვიტში გარჩეულია კავკასიური რუსეთის იმპერიის ერთგული და არაერთგული ხალხები. ყველაზე კარგი დასაყრდენი რუსეთის იმპერიისთვის, მათი მონახვა, არიან ოსები და სომხები (არც ერთი არ არის კავკასიის მკვიდრი ერი), ხოლო ყველაზე საშიში — ქართველები და დასარჩენი ჩრდილო კავკასიელი ადგილობრივი ტომები. მათ შორის არიან აზერბაიჯანელები. ამავე პოლიტიკის ნაწილი იყო სწორედ ის, რომ კავკასიის ომის შემდეგ, რუსეთის სამხედროებამ გადაიკეცა სხვა სამოსელი და მოღობის როლში მოგვექცინა. იქნადაც კავკასიაში ილიანი კავკასიელი მამადიანების წასვლა თავიანთ რელიგიურ სამშობლოში — მეჩაში. ამას შეიძლება თვითგადასახლება ეწოდოს, მაგრამ არაფისთვის დაფარული არ არის, რომ ისინი ამ შემთხვევაში პროვოცირებულნი იყვნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ინტელიგენცია ყოველთვის გამოდიოდა კავკასიელი ხალხების ამ თვითგადასახლების პროცესის წინააღმდეგ, ისინი ძალიან იბრძ-

ოდნენ იმისთვის, რომ კავკასიელები არ აპოლოდნენ რუსეთის ამ პროვოკაციას და არ დაეტოვებინათ თავიანთი სამშობლო.

ეს გამოთქვით პოლიტიკურ არასდროს არ შეჩერებულა, ის დღესაც მოქმედებს. ამის დასტური იყო ის, რომ ცხრასამდე წლებში ისევე უნდოდათ ცხრასამდე წლებში ჩვენები და ინგოვრები. ახლა უკვე კონკრეტულად მხოლოდ ეს ორი ხალხი, იმიტომ რომ ყველაზე დიდ მტრებს ჩრდილო-კავკასიელთა შორის სწორედ მათი შედეგადნენ. მაშინ ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ იდეა ძალიან დარჩა და საამისოდ ყველაზე კარგი საშუალება კომუნისტურმა რეჟიმმა შექმნა — 1944 წელს გადასახლეს ჩვენები და ინგოვრები თავიანთი ისტორიული სამშობლოდან ციმბირში, შუა აზიის სხვადასხვა რესპუბლიკებში და ყაზახეთში... მთლიანად მთელი ხალხი, ყველა, ღამის სამ საათზე მოხუცებიან ბავშვებიანად. ეს იყო, რა თქმა უნდა, უდიდესი ტრაგედია, არა მარტო ჩვენებისთვის და ინგოვრებისთვის, არამედ ყველა კავკასიელი ხალხისათვის, იმიტომ, რომ უკვე დაიწყო იმ გეგმის ინტენსიური განხორციელება, რომლის მიხედვითაც კავკასია კავკასიელების გარეშე უნდა დარჩენ-

ძრობის დაწყებისთანავე ჩვენთან ძალიან კეთილშობილურ კონტაქტები ჰქონდათ ჩვენებსაც და ინგოვრებსაც. განსაკუთრებით ინგოვრებს. ერთი ფაქტი არის ასეთი. 1986 წელს ძალიან პოპულარული გახდა ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის იდეა. ესეც არ არის ახალი. რუსები საუკუნეა, რაც ელოლობდნენ ამ იდეას. იგი მომდინარეობს მე-19 საუკუნიდან. ეს გლობალური გეგმის ერთ-ერთი დეტალია. ჩვენ-ინგოვრების გადასახლება მოხდა, მოხდა დაბრუნებაც, ახლა კვლავ იყო საკითხი რაღაცნაირად შევეცდომებით ეს ხალხები, ამიტომ აღდგინეს რკინიგზის მშენებლობის იდეა — ფაქტობრივად დღეს ჩვენთვის უნდა და ვაინახების დასაბრუნებლად. ეს კიდევ ერთი პოლიტიკური ნაბიჯი იყო კავკასიელი ხალხის გასათიშად გადადგმული. ინგოვრებმა განსაკუთრებით მწვეველ აღიქვეს ტრანსკავკასიური რკინიგზის საკითხი. რკინიგზა პროექტით საქართველოდან ინგოვრებში გადიოდა და გზაზე რაც ინგოვრები ისტორიული ძეგლები იყო, ის ერთადერთი რაც ახალ ხალხს შეეძინა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან, ინგოვრთა. ეს იყო მცდელობა,

აწილობდა ჩვენებსაც (ჩვენს ჩვენს) ველ ყოლიანში. ასე რომ, ეს ურთიერთობა ძალიან ცხოველია. როგორც ატყობთ, მათი მამადიანობა და ჩვენი ქრისტიანობა არ უშლის ხელს ჩვენს ძმობას, იმიტომ რომ, ისევე მინდა ამას ხაზი გავსვას, ჩვენ გვეერთიანებს ერთი ჯიშის, ერთი ფსიქოლოგია ერთი ღირსება — კავკასიური ვაჟკაცობა. ჩვენ ერთი ჯიშის ხალხი ვართ.

ისევე ისტორიას მინდა დაუბრუნდეს ის მონადა ვინახების რეპარაციის შედეგად, ეს იყო 1957 წელი — მოხდა ამ ხალხის რეპარაციის აღდგენა ჩვენთან-ინგოვრების ავტონომიური რესპუბლიკის დასავლეთი საზღვრები თავდაპირველად იქნა შელახული. ჯერ კიდევ 1924 წ. გარკვეული ნაწილი ინგოვრები ტერიტორიებისა მიუხედავად ოსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის. 1934 წელს გაუქმდა ინგოვრები ავტონომია და ქალაქ თრჯონის მხარეში, თრჯონის მარჯვენა სანაპირო გადაეცა ასევე ოსებს. 44 წელს კი, მოგვსენებთან, ვინახები საერთოდ გადასახლეს კავკასიიდან.

1957 წელს, როცა დააბრუნეს, უკვე ჩამოაქრეს ტერიტორიის 46 პროცენტი, თითქმის ნახევარი. წლების მანძილზე ამ ტერიტორიაზე ინგოვრები არ ჰქონდათ ჩასახლების უფლება, სახლები ოსების მიერ იყო დაკავებული და არც ერთ სახლს ოსი არ თმობდა, როცა დაბრუნდნენ, სანგრების მაგვარი ამოთხარეს და შიგ ცხოვრობდნენ. ზამთარი იყო, მოსახლეობა იღუპებოდა. ისედაც ვინახებზე იყო ერთი ამდენი ღვესიანა. და იგივე ხალხი, ვინც ჩვენ დღეს სამხრეთ ოსეთის გვედგავს, 1957 წელს საკუთარ მიწებზე დაბრუნების საშუალებას არ ამოღებდა ვინახები. აქედან ჩანს, რომ ოსები შეთანხმებულად, მიზანდასახულად კულში მიჰყვებიან რუსეთის პოლიტიკის და გზას უხსნიან მის კავკასიაში გამაგრებას, გადმოტრეპნა. შემთხვევითი არ არის, რომ მათ არ აღორძინეს ოსური სახელი ქალაქ ორჯონიკისა, ძაუ-ჯიკაუ, არა მარტო რუსული სახელი „გლადკავკაზი“ აღუდგინეს მას. ეს ფაქტობრივად ნიშნავს „რუსი ჩამოდი და იდე კავკასია, მე უნდა ვარ“.

არ შემოძლია არ ვთქვა, რომ რუსებმა ინგოვრებს სახელი „ინგოვრები“, ერთ-ერთი სფეროს დასახლების მიხედვით შეარქვეს. მათი თვით სახელიწოდებდა არის დალა (ქართულად დღესაც არ დღეს). ის სოფელი დღეს ოსეთის ტერიტორიაზეა, მისი სახელია „ანგოვრები“, და ცნობდება ოსურ სოფლად.

დღეს ინგოვრების მთელი მცდელობა მიმართულია იქით, რომ როგორმე დაიბრუნონ თავიანთი ტერიტორიები. ცხადია, კრემლი ამასი წინააღმდეგობას უწევს, ოსების სასიკეთოდ. ოსებისთვის საერთოდ დამახასიათებელია ხსვისი ტერიტორიების მითვისება, იქით ყაბარდულელებსაც მთავარტრეს ტერიტორიები, მოზლოკი და მისი მიმდებარე მიწები.

ისევე ვიმეორებ, ჩრდილოეთ კავკასია ჩვენი ნაწილია, ჩვენი გენეტიკური და ისტორიული არსებობის ნაწილი. მათი სატყვეობი უნდა გახდეს ჩვენი სატყვეობი. იგივე ვაზიანელები თავის ნაწილში ჩვენს ქართულ და კავკასიურ ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, რომელიც 1937 წელს გამოვიდა, ხაზს უსვამდა, რომ ყველა ქართველია, ისევე უნდა იცოდეს კავკასიელი ხალხების ისტორია, როგორც საკუთარი ერის ისტორია.



ბ-ნი გურამ კეკელია — მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ხალხების მრავალსაუკუნოვანი ისტორია სხვისა ტრაგიკული და რთული ეპიზოდებით, 1944 წლის 23 თებერვალი ზოგადად ტრაგიკული ფა-

ბ-ნი მარია ჩუხუა — ქართველმა ხალხმა უკანასკნელ პერიოდში, შეიძლება ითქვას, თითქმის დაკარგა წარმოდგენა თავის ჩრდილოეთ მონათესავე ხალხებზე. ჩვენ გვეკვირს ზოლზე, როცა უცხოელები ამბობენ საქართველოს შესახებ არაფერი ვიცითო, მაგრამ უფრო გასაოცარია ის, რომ ქართველმა დღეს არ იცის, ვინ ცხოვრობს ჩრდილოეთ კავკასიაში მის მეზობლად. არადა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები და ქართველი ერი ყოველთვის ერთი ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში მკვიდრობდნენ როგორც კავკასიური, ასევე არაკავკასიური მოსახლის ხალხები. ავტორიტეტული, ანუ მკვიდრი ტომები არიან — დაღესტნელები, არის მათ შორის სამი ჯგუფი: ხუნძები ანუ ავარები, ლაკები, ეს ტერმინი შემდგომ, ქართულ ცნობიერებაში გადატანილი იქნა მთლიანად დაღესტნელ ხალხებზე. და მათ გვიძახებენ ლეკები, დიდოელები, თაბასარანელები... ცენტრალურ კავკასიაში მოსახლეობენ ვინახები. ვინახი არის ინგოვრები და ჩიჩნები ხალხის გამაერთიანებელი საერთო ტერმინი, ისევე როგორც ქართველი გამაერთიანებელი სახელია სხვადასხვა ქართველური ტომებისა. შემდგომ არიან ყაბარდოელები, უკვე დასავლეთით — ჩერქეზები, ფაქტობრივად ყაბარდოელები და ჩერქეზი ერთი და იგივე ხალხია. მაგრამ დღეს ისინი ცხოვრობენ სხვადასხვა ავტონომიებში, ყაბარდოელები — ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხოლო ჩერქეზები — ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში. იქვე ცხოვრობენ აზარები, რომელთაც აზარინებს უწოდებენ შეცდომით. აზარები არიან სწორედ აფხაზების ყველაზე ახლო მონათესავე ხალხი. ფაქტობრივად ეს არის აფხაზი ხალხის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც ცხოვრობს ჩრდილოეთ კავკასიაში. აზარები ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში თავიანთი ავტონომია, ან რაიმე ამგვარი არ გააჩნიათ, ტერიტორიულად მოსახლეობენ ამ ოლქში არაკომპაქტურად. აღიღებენ ცხოვრობენ ადიღეს ავტონომიურ ოლქში, ცენტრით მაიკოპში. მაგრამ ადიღელები ცხოვრობენ კრასნოდარშიც და სტავროპოლის მხარეშიც. არსებობს ქრისტიანი ადიღელები, სომხების მიერ გრიგორიანულ რჯულზე მოქცეული (მათ სომხებს უწოდებენ, რელიგიური ნიშნის მიხედვით), მოზლოკი ცხოვრობენ მართლმადიდებელი ყაბარდოელები. ეს რუსების მიერ გაქრისტიანებული ხალხია.



# დაყოვნება არ ეგებს

მარქსისტულ-ლენინურმა „მძლე-თამბლუ“ მოძღვრებამ სამარცხი-ნო კრახი რომ განიცადა, ახლა დღე-საღივით ნათელია.

სკკპ წევრობის მანდატი კი ჯერ კიდევ ჯიუტად უღევს მავანსა და მავანს.

უფრო მეტიც, ჯერ კიდევ ბლო-მად არაა იხეთქილი, რომლებსაც ფანტასტიკურად უყვართ თავად მოძღვრების ერთ-ერთი შემოქმე-დი ი. ბ. სტალინი და მისტირანი სისხლის წვიმებით ავსებულ ეპო-ქისა, დიდი ბელადის „ლოცვა კურ-თხევით“ რომ მოპოვებდა.

ხშირად მიხდება კამათი ამგვარ ხაჯითებზე ჩემი კარის მეზობელ-თან. იგი თავგადაკლული სტალი-ნიელია.

მისი ქვეყნის ნორმები კი ერთ-ობ ტიპური, დამახასიათებელი მა-გალითაა იმ უარყოფითი მოვლე-ნისა, რაზედაც მინდა ამ წერილში თქვენი ყურადღება გაამახვილო და ამიტომ შეგიერთო დეტალზე ვერცლად შევიჩინო.

ერთხელ შეგობართა წრეში ახ-ალი თაობის შესახებ ცხარე მსჯე-ლობა გაიმართა. ბოლოს აზრის გამოთქმა მეც მოხერხდა. ჩემი და-მოკიდებულება ამ საკითხისადმი მამინ დაახლოებით ასეთნაირად გამოვხატე: ცნობილი გამოთქმა — ახალგაზრდობა ცხოვრების ბარო-მეტრიაო. საითაც მიდის ახალგა-ზრდობა, საზოგადოებაც იქით გა-ემართება და იქვე დავიძინე, მაგ-რამ ყოვლად დაუშვებელია, რომ ახალგაზრდობა პარტიის ცენტრში არ ექცეოდეს წინა თაობას, ლანძღავ-დეს და ავიწყლებს მას-მეთქი.

— თუ ასეა, შენ თავად რატომ ლანძღავ და ავიწყლებ მამას? — მო-მვარდა კარის მეზობელი.

— მე მამა უსაზღვროდ მიყვარ-და და მიყვარს. რას ბოდავ!

— თავს ნუ იკატუნებ, კარგად იცი ვიხედავ გუბუნები.

— მაინც?

— რაღა თქმა უნდა, სტალინი. ახლა მაინც ვერ ხედავ, ჩვენი მამა და მარჩენალი რომ იყო? შეხედე დახლებს, რა დღეშია. მის დროს კი, ომი ახალდამთავრებული იყო, როცა... — და გააბა ჩვეულებრივი გრძელი ტირილი.

ნათქვამია, „კაცსა რეგვენსა ნუ-რასდროს ეკამათებო“, ჰოდა მეც გაჩუმება ვარჩიე... მით უმეტეს, რომ კარგად ვიცოდი მისი „მსოფ-ლმხედველობა“. საიდან იღებდა სათავეს.

ბავშვობიდანვე ლოზუნგებს იყო აყოლილი. კომკავშირის ეტანებოდა და ეტმანებოდა. მეჩუ, სწორედ კომკავშირის წყალობით, უნივერ-სიტეტის სტიპენდიაც გახდა, თუ-მცა სწავლაში მუდამ მოიკოვრებ-და. იქაც კომკავშირში აქტიურობ-და და კურსიდან კურსზე შეუფერ-ხებლად გადადიოდა. ხუთი წლის მანძილზე უნივერსიტეტში სკკ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მეტი არაფერი უსწავლია. სამაგიეროდ ეს კურსი სიტყვასიტყვით, თითქმის ზეპირად იცოდა.

რაღაც მიზეზთა გამო, კომკავ-შირში კარიერა ვერ გაიქცა, თუ-მცა ამ მხრივ გაწეული შრომა მა-ინც დაუფასდა და ჯერ კიდევ მე-ხუთე კურსის სტუდენტი თბილი-სის ერთ-ერთი საშუალო სკოლის პედაგოგი გახდა. ეს მაშინ, როცა წლობით იღვწენ მისი კოლეგები რიგში.

ასე და ამრიგად, ასწავლის იგი ბავშვებს სსრ კავშირის ისტორიას, საგანს, რომელიც ერთობ ბუნდო-ვან და გაუკუღმართებულ წარმო-დგენას აძლევს მათ რუსეთის ის-ტორიაზე და 20 წლის მანძილზე

ამხინჯებს ქართველი ყმაწვილების ცნობიერებას.

მაგრამ დრო გადის და, მადლო-ბა ღმერთს, თანდათან ყველაფერი თავისი სახელი ერქმევა. თუმცა... ერთ დღეს გაღიმებულმა კარის მეზობელმა სულმოუთქმელად „მა-ხარა“:

— ჩვენს სკოლაში საქართვე-ლოს ისტორიის სწავლების უკვე საკმარის საათები დაუთმეს და მას-წავლებლობა მე შემომთავაზესო.

— მერე დათანხმდი?

— აბა რა! თუმცა საკუთრივ საქართველოს ისტორიის ვიწრო სპე-ციალისტი მე არ ვახლავარ, მაგ-რამ სკკპ ისტორია ხომ ვიცი და ბოლოს და ბოლოს პრინციპი ერ-თია. ისტორია ისტორიაა. მთავარია, სახელმძღვანელო არსებობს, ვის-წავლი და ვასწავლი — თქვა და-ბეჭივებით და გამშორდა...

კიდევ ერთი წელი გავიდა და სულ ახლანამ ამგვარად ყურებამ-დე გაღიმებული შემეგება.

— სკოლამ გადაწყვიტა ბავშვებს რელიგიის ისტორია ვასწავლოთ. ჯურისის მომზადება და წაკითხვა მე შემომთავაზეს.

გაოცებისაგან ხმა ვერ ამოვიღე, ისე დავმორდი ერთმანეთს.

კაცი, რომელიც თავწაყლული სტალინიელია და რელიგიის შესა-ხებ მხოლოდ მარქსისტული გამო-ნათქვამი იცის — „რელიგია ხალ-ხის ბანგია“, ახლა რელიგიის ის-ტორიის სწავლებას კისრულობს.

დიდება შენდა, ღმერთო ჩემო, ნუთუ თავგებობას საზღვარი არა აქვს?

იქნებ აქ მავანი შემეკითხოს: რელიგიის ისტორიის სწავლება სა-შურ საქმედ იქცა, სპეციალისტე-ბი კი არა გყავს და კარგა ხანს არც გვეყვლება, ჰოდა, ასეთ სი-ტუაციაში რომელიმე გამოცდილ-მა პედაგოგმა ეს საქმე რომ იკის-როს, თავადაც ისწავლოს და ბავ-შეებსაც ასწავლოს, განა არ შეი-ძლებოდა?

ჩემი კატეგორიული პასუხი ასე-თია: არ შეიძლება და აი რატომ. რელიგიის ისტორიის სწავლების მიზანი თანამედროვე სკოლაში უნ-და იყოს ბავშვებისათვის ამ უძ-ველესი სულიერი კულტურის შე-ცნობა-შესწავლა, მათში რელიგი-ური ცნობიერების გაღვივება, რწმენის განმტკიცება. ეს კი შეუ-ძლია მხოლოდ ამ საქმის სპეცია-ლისტს და თავადაც მორწმუნე პიროვნებას. ამწესობრივად, ჩვენი პედაგოგები, ცალკეული გამოჩა-ლისების გარდა, ათეულობით წლის მანძილზე ისეთნაირად აღიზარდ-ნენ და დამოგარამდნენ, რომ ამ საქმეს ნამდვილად ვერ შეძლებენ, სამაგიეროდ, ვინ იცის ბავშვის სუ-ფთა გონებას რა სისულელეებსა და სიმახინჯეს წააწერენ.

ეს კი ძალზე საშიში იქნება, რა-დგან ჩვენი საზოგადოების სული-ერი განწმენისა და გაჯანსაღებ-ისათვის ბრძოლა, უპირველეს ყო-ვლისა, მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის სწორი სისტემის შექმნ-ითა და განმტკიცებით უნდა დავი-წყოთ.

აქ ძალაუფლებურად მახსენდება ახლო წარსულში ისრაელის მთავ-რობის მეთაურის, ცნობილი გოლ-და მეირის სამშობლოში დაბრუნებუ-ლთა მიმართ თქმული დიდებული სიტყ-ვიდან ერთი ადგილი. მან თვისებრივად განუცხადა, კარგად იცო-დეთ, ჩვენს ქვეყანას თქვენ კი არა, თქვენი შეილება სჭირდება. სწო-რედ მათი აღზრდა შეიძლება ისე, რომ დაუბრუნო ებრაელ ხალხს ძველი დიდება და კუთვნილი ად-გილი მსოფლიოს განახლების დიდ პროცესში...

ამგვარად ამ ერთ ფაქტზე ასე და-წვრილებით იმიტომ შეგჩერდით, რომ იგი დღევანდელი სკოლის და-მახასიათებელი მოვლენა გახდა და თუ დროზე არ მივხედეთ, შეიძ-ლება ფრიად სავალალო შედეგე-ბი მივიღოთ.

კიდევ უფრო სავალალო სიტ-უაციაა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. პროლეტარიატ-ის დიდმა ბელადმა ი. ბ. სტალი-ნიამ ამ მხრივაც არანაკლები თავ-სატეხი პრობლემა დაგვიტოვა. ალ-ბათ, ახლაც ყველას გვახსოვს მისი დაახლოებით ამგვარი „დამოძღ-ვრა“: არ არის სავალდებულო, ვთქვათ, ფიზიკისი იმავე დროს იყოს ფილოლოგი, ანდა ისტორი-კოსი — ვეტერინარი, მაგრამ არ-ის ერთი დარგი, რომლის შესწავ-ლა სავალდებულო და აუცილებლ-ია ყველასათვის — ეს არის ჩვე-ნი ძველი დიდებული მოძღვრება მარქ-სისტულ-ლენინური.

მისი სიტყვა ხომ კანონი იყო და დაიწყო მთელის სისრულით ე. წ. მარქსისტულ-ლენინიზმის შემად-გენელი ნაწილებს: მარქსისტული ფილოსოფიის, მარქსისტული პოლიტი-კონომიისა და მეცნიერული კომ-უნისმის, აგრეთვე სკკ (ბ) ისტ-ორიის მოკლე კურსის სწავლება ყველა უმაღლესი სკოლის ყველა ფაკულტეტზე. ათეული წლების მანძილზე სტუდენტებს ჩასჩინე-ბდნენ ამ ვითომცდა მეცნიერებას აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები...

ასეთი მიმდევრობა გამოდგე-ცა...

ახლა, როცა ასე სწრაფად მიმ-დინარეობს ყველა სასწავლებლე-ბის დეიდოლოგიზაციისა და დე-პოლიტიზაციის პროცესი, ახალი თავსატეხი ჩნდება განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლების მესე-ურთა წინაშე. რა ეშველება ლე-ქტორთა იმ მრავალრიცხოვან მას-ას, რომლებიც სწორედ ამ საგნ-ებს ასწავლიდნენ და სხვა არა-ფერი იციან?

იფიქრეს, ბევრი იფიქრეს აქა-და ე. წ. ცენტრშიც და ბოლოს კა-თედრებს სახელები შეუცვალეს. კერძოდ ე. წ. მეცნიერული კომუ-ნიზმის კათედრა აქციეს კომბო-ლოგიის კათედრად, სკკპ ისტო-რიის კათედრა — XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის კათე-დრად და ა. შ. ახლა ეს საგ-ნები გაუხადეს ყველა ფაკულტე-ტის სტუდენტებს სასწავლებლად.

ვის რაში სჭირდება ასეთი კოს-მეტიკა? დღეს საქართველოს თავ-ისი საქმის ძირფესვიანად მცოდ-ნე, მსოფლიო სტანდარტების დო-ნეზე აღზრდილი სპეციალისტები სჭირდება და ის ხუთი თუ ექვსი წელიწადი, რაც სტუდენტობისათ-ვის არის განკუთვნილი, შაქსიმა-ლურად უნდა მოხმარდეს სპეცი-ალობის დაუფლებას, სხვა საგნე-ბის, მით უმეტეს კომუნისტური იმპერიის მიერ შემოთავაზებული საგნების სწავლებისათვის წუთიც კი არ უნდა დაეკარგოს.

რაც შეეხება უმუშევრად და-რჩენილ ლექტორ-მასწავლებლებს, იქნებ სჯობდეს ხელფასი შეგუნარ-ჩუნოთ, ოღონდაც სასწავლებლებს უსათუოდ ჩაოვაშოროთ.

მართალია ეს ყოველივე დამატე-ბით ხარჯად დააწევბა ჩვენს ისე-დაც გაღატაკებულ ბიუჯეტს, მაგ-რამ მაინც აუცილებლად მესახება რამეთუ აღარ ჩავიდნენ იმ ცოდ-ვას, რომელიც აუნაზღაურებელ დანაკლისს მისცემს ჩვენს ხვალი-ნდელ დღეს.

ამოგნო იყო ჩემთვის. „ნიისხუს“ ლიდერები, განსაკუთრებით ისა ქა-ძოვე, რომელმაც ტიტანური შრო-მა გასწია იმისთვის, რომ მთელი ინგუში ხალხი სწორად უფროლიყო ორიენტირებული, ძალიან რეალ-ისტურად და საღად მსჯელობს საბ-ჭოთა კავშირში მიმდინარე დღევა-ნდელი პროცესების შესახებ. აქ თითქმის მოხსნილია ემოციური მო-მენტები. ისინი, რა თქმა უნდა, ხე-დავენ რომ ვაცილებით რთული გზა აქვთ ვასავლელო, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ცალსახად აცხადებენ, რომ მათი მომავალი დაკავშირებულია საქართველოს მომავალთან და იმ შემთხვევაში, თუ საქართველო წა-მოდგება ფეხზე, მათთვის გამოჩნ-დება პერსპექტივა, ხოლო თუ სა-ქართველოს დაღუპვა უწერია, მა-შინ ვაინანებოც დაიწყებენ.

რაც შეეხება რუსეთის დღევანე-ლი, რომლის შემადგენლობაში იყ-ვნენ საქართველო დეპუტატი ბელო-რუსეთი, ასევე სკკპს გენერალ კალუგინის პირადი ადვოკატი, უზ-ნეცოვი, აგრეთვე ელცინის მხარდა-მჭერი რუსეთის ფედერაციის დეპ-უტატები, მათი პოზიციები მისაღებია და ჩვენთვის. მიტინგზე გამოხატ-ვისას ისინი დამსწრეთ მოუწოდ-ებდნენ არ მიეღოთ მონაწილეობა 17 მარტის რეფერენდუმში და მზა-რი დაეკირათ არა საქართველო, არა-მედ ელცინის პოლიტიკისათვის.

ყველა გამოსვლა ანტიკომუნისტუ-რი იყო. როგორც გამოიჩინა ელცინის პოლიტიკის ძლიერი და-საყრდენი აქვს ინგუშეთში, ისინი აქტიურად წინააღმდეგე არიან გო-რბაროვის საშინაო პოლიტიკისა.

ჩვენ შევხვდით „ნიისხუს“ გამგე-ობის ყველა წევრს. მომავალში, ალბათ, ეს კონტაქტები გაღრმავდება და ორივე მხარისთვის მხოლოდ და-დებით შედეგს მოიტანს.

ჩვენი ისტორიული, გენეტიკური, ფსიქოლოგიური ერთიანობისა და გა-ომდინარე, განსაკუთრებით კი პო-ლიტიკური ინტერესების თანხვედ-რის პერიოდში, ქართველი და ვი-ნახი ხალხების კონსოლიდაციას განსაკუთრებული, თითქმის ისტო-რიული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვე-ნი ერთგული მთავრობა ძალიან უწყ-ობს ხელს ამ კონტაქტების გაღ-რმავებას. ამის დასტურია ის ფაქ-ტი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ ფა-კულტეტზე 40 ინგუში ახალგაზრ-და ქართულ ეუფლება, რათა მო-მავალში კავკასიური ენების განყო-ფილებაზე გააგვიძლიან სწავლა.

ეს, რასაკვირველია, თავის კულ-ნაყოფს გამოიღებს ჩვენი კულტუ-რული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

ინგუშეთში გაღმწევილია, რომ გაიხსნას სპეციალიზებული საშუა-ლო სკოლა, სადაც ბავშვები ისწავ-ლიან ქართულ ენას.

მოკლედ, დღეს უკვე არსებობს იმის სერიოზული იმედი, რომ კავ-კასია აღიღვანს თავის საერთო კავ-კასიურ ცნობიერებას და საბოლო-ოდ დაიბრუნებს ტრადიციულ ურ-თიერთობების ცენტრის მანძილს.

ჩვენ, ინგუში ხალხის წარმომადგენლები, შევიკრიბეთ 1991 წლის 23 თებერვალს — ერთგული გლოვის დღეს, ვადაწყვეტეთ თხოვნით მივ-მართოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და ოკრ-უგების უზენაეს საბჭოებს ყოველმხრივ მხარი დაუჭირონ ჩვენთვის განკუთვნილი ინგუში ხალხის სამართლიან მოთხოვნას — აღიღვიან დაკარგული საბ-ელმწიფოებრიობა.

1992 წელს ინგუშები გამოკავშირეს ვლადიკავკაზიდან, რათა მოეშა-დებინათ ნიდადა ჩვენი სახელმწიფოებრიობის დეკლარაციისათვის.

1994 წელს ინგუშეთის რესპუბლიკა დეკლარირებულ იქნა.

1994 წელს მოგვიწვევს გენერალი, მასობრივი ვახანდება ყაზახეთის ჩრდილოეთ ოლქებში, რის შედეგადაც განადგურდა ჩვენი მოსახლეობის ნახევარი.

1997 წელს აღდგა ჩვენეთ-ინგუშეთის ახსრ. ამასთან, ინგუშეთს ჩა-მარტობს მისი ისტორიული მიწები (ტერიტორიის 45%) ჩრდილოეთ ოს-ეთის სახარტობად.

ინგუშ ხალხს არახიდეს შეუწყვეტია ბრძოლა ნაციონალური უფ-ლებების აღდგენისათვის. ამ ბრძოლას წარუშარავდით მშვიდობიანი, პა-რლამენტური გზით. ჩვენ ვაბრძოდით მხოლოდ ირი იარაღით: მოთმინე-ბითა და ხიპართლით.

ამ ეტაპზე ჩვენ გვეხაპირება სხვა ხალხებისა და მათი პარლამენტე-რის მხარდაჭერა.

ინგუში ხალხს მოგმართავთ თხოვნით — არ მოაწეროთ ხელი ჩრდი-ლოეთ ოსეთთან არანაირ შეთანხმებას მანამ, ხანამ არ დაუბრუნდება ინგუშეთს 1993, 1994, 1997 წლებში ანექსირებული მიწები.

ამ სამართლიან მოთხოვნაში უკვე მხარდაჭერა ინგუშ ხალხს მისც-ემს საშუალებას უსახლოდ დაადგინოს თავი შექმნილ სიტუაციას.

„უ“, აღხდგეს სამართლიანობა!

## მიმართვა

### მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების უზენაესი საბჭოებისა და ხალხებისადმი

ჩვენ, ინგუში ხალხის წარმომადგენლები, შევიკრიბეთ 1991 წლის 23 თებერვალს — ერთგული გლოვის დღეს, ვადაწყვეტეთ თხოვნით მივ-მართოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და ოკრ-უგების უზენაეს საბჭოებს ყოველმხრივ მხარი დაუჭირონ ჩვენთვის განკუთვნილი ინგუში ხალხის სამართლიან მოთხოვნას — აღიღვიან დაკარგული საბ-ელმწიფოებრიობა.

1992 წელს ინგუშები გამოკავშირეს ვლადიკავკაზიდან, რათა მოეშა-დებინათ ნიდადა ჩვენი სახელმწიფოებრიობის დეკლარაციისათვის.

1994 წელს ინგუშეთის რესპუბლიკა დეკლარირებულ იქნა.

1994 წელს მოგვიწვევს გენერალი, მასობრივი ვახანდება ყაზახეთის ჩრდილოეთ ოლქებში, რის შედეგადაც განადგურდა ჩვენი მოსახლეობის ნახევარი.

1997 წელს აღდგა ჩვენეთ-ინგუშეთის ახსრ. ამასთან, ინგუშეთს ჩა-მარტობს მისი ისტორიული მიწები (ტერიტორიის 45%) ჩრდილოეთ ოს-ეთის სახარტობად.

ინგუში ხალხს არახიდეს შეუწყვეტია ბრძოლა ნაციონალური უფ-ლებების აღდგენისათვის. ამ ბრძოლას წარუშარავდით მშვიდობიანი, პა-რლამენტური გზით. ჩვენ ვაბრძოდით მხოლოდ ირი იარაღით: მოთმინე-ბითა და ხიპართლით.

ამ ეტაპზე ჩვენ გვეხაპირება სხვა ხალხებისა და მათი პარლამენტე-რის მხარდაჭერა.

ინგუში ხალხს მოგმართავთ თხოვნით — არ მოაწეროთ ხელი ჩრდი-ლოეთ ოსეთთან არანაირ შეთანხმებას მანამ, ხანამ არ დაუბრუნდება ინგუშეთს 1993, 1994, 1997 წლებში ანექსირებული მიწები.

# ამაზასპი



„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ორმეფობის ხანა ქართლში დასრულდა ფარსმან ქველის ძის, ადამის გამეფებით, რომელმაც მხოლოდ 3 წელი იმეფა და გარდაიცვალა. „ღარჩა ძე მისი წელიწადისა ერთისა ყრმა, და ვიდრე აღზრდებოდა ყრმა იგი, მეფობდა დედ-და ადამისი, რომელსა სახელი ერქვა ლადან. ... და ვითარ აღზრდა ძის წული ფარსმან ქველისა, სახელით ფარსმანე, მეფე იქნა.“

მემატიანე ფარსმან ქველის შვილისა და შვილიშვილის მეფობის შესახებ მეტს არაფერს ამბობს.

ფარსმანის შემდეგ გამეფდა მისი ძე ამაზასპი. „იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსებით ფარსმან ქველისა“. ამაზასპის დროს ქართლში შემოვიდა ოსების მრავალრიცხოვანი ლაშქარი. ამაზასპმა მოასწრო გარის შეკრება, „და იყო სიმრავლე ქუებითა მცხეთელთა, რომელნი კართა და ზღუდელთა სცილდნენ, მათგან კიდევ გარე შემოიარა გამავალი ლაშქარი ქუეთი იყო ოცდა ათი ათასი ყოველდღე, მაშინ რომელ ჰყვა მხედარი ათი ათასი“. ქვეითები ამაზასპმა არაგვის ნაპირებზე სიმაგრეებში განაღობა, ცხენოსნებით კი გაიქცა „აღვილსა, რომელსა რქუიან საფურცელე“. გაიმართა ბრძოლა, განვიდა ამაზასპ მშვიდლითა, იწყოს სროლად გულითა ფიცხლითა და მკლავითა ძლიერითა“. იმ დღეს ამაზასპმა თხუთმეტი რჩელი ოსი მეომარი განგებინა „... და სხუთთა ცე მუმბარეხთა ამაზასპისათა მოკლნეს მუმბარეხნი ოსთანი, და დედვა დიდი ვენება ოსთა ზედა“. ბრძოლა მეორე დღეს განახლდა,

ამაზასპი ხმალიდან შვერვინა ოს ხანხუსს, რომელიც „გამორჩეული იყო სპათა შორის ოსთასა“. ამაზასპმა სძლია ხანხუსს, „და მიეტევა სხუთთა ცე ბუმბერეხთა ხრმლითა და მოკლნა ორნი სხუანი“. მესამე დღეს, გამთენიისას, ქართველები ოსების ბანას თავს დაესხნენ, ოსების მეფე მოკლეს და მტერი განადგურეს.

ერთი წლის შემდეგ ამაზასპმა ილაშქრა ოსეთში, „ვერვინ წინ აღუდგა და მოტყუენა ოსეთი“.

მაგრამ ამ დიდი გამარჯვების შემდეგ ამაზასპს შეეჭნა სიოლღე და იწყო მესისხლეობად, და მოსწყუენა ოსეთი მრავალი წარჩინებულნი. ამისთვის მოთქულა ოცი ერმან ქართლისამან, და მტერ იქნა ოცი სომეხთა და შეიყუარნა სპარსნი“. (ამაზასპი იხსენიება სპარსეთის მეფის შაბურ I (242-272 წ.). ქაბა-ი-ზარდოშტის დიდი წარწერაში — „ამაზასპი, მეფე იბერიისა“ — როგორც პირი, რომელსაც სპარსეთის მეფის კარზე ერთ-ერთი პირველი ადგილი ექცინა. ამაზასპს განუდგა 5 ერისთავი (თძრხის, კლარჯეთის, წონდის, ორი ეგრისის). მათ სომხეთის მეფეს სთხოვეს „ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამაზასპისი“. სომხეთის მეფემ განდგომილ ერისთავებს მხარი დაუჭირა, „მოირთო ძალი საბერძნეთით“ და ამაზასპს შეუტია. ამაზასპმა სპარსელები იხმო. გაიმართა ბრძოლა. „იძლია ამაზასპ, და იძლია სპა მისი და დიდაურეს ქართლი“. ამაზასპი ბრძოლაში მოკლეს.

მოამზადა ირაკლი ლომოურაბი

— ბატონო არჩილ, როგორც ხარჩვენი კომისიის თავმჯდომარემ, თუ შეიძლება გვითხრათ, როგორ მიიღეს ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების პროცესი, რა დროის ხარჯებში უნდა დასრულდეს ეს სამუშაოები და რა ხარჯებში უნდა დასრულდეს ეს სამუშაოები?

— ოცდამეექვსე თებერვალს დამთავრდა წინასწარჩვენი შინაგარე პირველი ეტაპი. ტერიტორიულ კომისიებში უკვე დასრულდა რეგისტრაცია პარტიებისა და ბლოკებისა. ოცდამეექვსეში სიამოს ჩვენთვის ნათელი გახდა, თუ რა პოლიტიკური ძალები მონაწილეობენ არჩევნებში. ამის შემდეგ იწყება მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი, დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია, რეალურად იწყება ბაზის შექმნა, იმ უბნების მოწყობა, შემზადება ხალხისა და სტრუქტურისა, რომელთაც უნდა უზრუნველყონ არჩევნების ჩატარება. მესამე ეტაპი გავრცელებულია რამდენიმე დღე, ესაა არჩევნების შედეგების დამუშავება. 31 მარტს დამთავრდება ხმის მიცემა, მაგრამ არჩევნები გავრცელებულია. ამჟამად რთული საარჩევნო სისტემაა. არის მრავალმანდატიანი ოლქები, ხმის მიცემა ხდება ე. წ. პრეფერენციის წესით; ამ არჩევნებს ართულებს და დამატებით დატვირთვას სძენს ისიც, რომ შეიძლება არჩევნებთან ერთად ჩატარდეს გამოკითხვაც, რაც იმედი მაქვს უკვე დადასტურდეს, რომ საქართველოს მოსახლეობას კვლავაც უპირველეს მნიშვნელსა ხება საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა. ეს გამოკითხვები იმავე დროს უნდა ჩატარდეს. მას შემდეგ, რაც დამთავრდება ადგილობრივი არჩევნების პირველი ტური, დაიწყება მეორე — გარდა პირველი რიგის საკრებულოებისა, აირჩევა მეორე რიგის საკრებულოები. ეს იქნება საბაზისო საკრებულოები, თბილისის საკრებულო, სადაც ადგილობრივი საკრებულოებიდან ნაწილი კანდიდატებისა აირჩევა უკვე რაიონების და თბილისის საკრებულოებში, რომლებიც რაიონის ადგილობრივ ხელისუფლებას წარმოადგენენ. ეს პროცესი უნდა დამთავრდეს ორი თვის განმავლობაში, ესე იგი, ივნისის ბოლოს და ამის შემდეგ, ივნისის შუა რიცხვებში დამთავრებული იქნება საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების მთლიანი არჩევა.

ისიც უნდა ვავითვალისწინოთ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებში კონსტიტუციის თანახმად, ადგილობრივი არჩევნები ტარდება. ცნობილია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, აჭარაში არჩევნები ჩატარდება იმავე კანონით და იმავე ვადებში, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ხოლო აფხაზეთში, ალბათ, დამატებით იქნება გამოცხადებული ვადები და მიღებული იქნება შესაბამისი გადა-

წყვეტილება.

— რა ვითარებაა შიდა ქართლის ხარჩვენი უბნებში, როგორ და როდის ჩატარდება იქ არჩევნები?

— შიდა ქართლთან დაკავშირებით, მე სრულიად კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ცხინვალის რაიონში, ახალგორში და ზნაურის რაიონის უმეტეს საარჩევნო უბნებში არჩევნები ჩატარდება და აირჩევა ადგილობრივი ხელისუფლება, ხოლო რაც შეეხება ქალაქ ცხინვალს და ჭავჭავს, ოსი ექსტრემისტების მიერ საომარი მოქმედების შეწყვეტა-არშეწყვეტა ვაბაირობებს იქ არჩევნების ჩატარების დროს.

— რამდენად ჩვენთვის ცნობილია, ბლოკმა „თავისუფლება“ თავი აარიდა არჩევნებში მონაწილეობას, თუ შეეხება იგი რე-

რეალური გავლენის მქონე პოლიტიკური ძალა. შეეძლება თუ არა გილობრივი ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობისათვის.

— მოგეხსენებათ, რომ წინა არჩევნებში იყვნენ ისეთი პარტიებიც, რომლებიც მონაწილეობდნენ როგორც კონგრესის, ასევე უზენაესი საბჭოს არჩევნებში. მათ შექმნეს ბლოკი „დემოკრატიული საქართველო“. ამ პარტიების წარმომადგენლები დღესაც ორგანიზებულად მონაწილეობენ ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში.

— თუ შეიძლება კიდევ ერთხელ განვუმარტოთ მეთვალყურეობის ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების პოლიტიკური არსი.

— პოლიტიკური არსზე ლაპარაკისას, მე როგორც კომისიის თავ-

## ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების ავტონომიური მთავრობის ინიციატივით მონაწილეობისათვის

### საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, პატრიარქის თარგმანით.

აღიზიანდა და რა არგუმენტებით იხსენება ეს?

— ბლოკმა „თავისუფლება“ არ გაიარა რეგისტრაცია ამ არჩევნებში მონაწილეობისათვის. მე მგონია, რომ „თავისუფლებას“ სჭირდება გარკვეული დრო, რათა გააანალიზოს ოქტომბრის არჩევნების შედეგები (სევე როგორც სხვა პარტიები). გარდა ამისა, ცნობილია, რომ ბლოკ „თავისუფლების“ ერთ-ერთი წამყვანი პარტიის, კერძოდ, რესპუბლიკურ-დემოკრატიული პარტიის წევრთა უმეტესობამ გადაინაცვლა ტრადიციონალისტთა კავშირში, ბლოკის შიგნით ბევრი რამ იცვლება და მე მგონია, ამის გამო თქვა უარი პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე. არის, ალბათ, სხვა მიზეზებიც, რომელზეც უთუოდ თავად მოგახსენებენ. მინდა იმავე დროს გითხრათ, რომ ამ ბლოკის ზოგიერთი წევრი ძალიან აქტიურად მუშაობს არჩევნების ჩატარებისათვის.

— ხელს რამდენად პარტიამ გაიარა წინასწარჩვენი რეგისტრირება?

— ოცდარვა პარტია არის რეგისტრირებული. მინდა დავძინო, რომ ნებისმიერი გარემოება შეიძლება ვახდეს კრიტიკის ობიექტი; როდესაც წინა არჩევნებში დიდი რაოდენობა პარტიებისა მონაწილეობდა, საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რა საჭიროა საქართველოში ამდენი პოლიტიკური პარტია და დაფუძნება. ახლა კი გახშირდა კითხვები, თუ რატომ არის მხოლოდ და მხოლოდ ოცდარვა პარტია. მე ვთვლი, რომ ეს უკვე არალოგიკური კრიტიკაა, რადგანაც, საქართველოში არ არსებობს ოცდარვა დამოუკიდებელი,

მკლამარე, ორ გარემოებას გამოეყოფი. პირველი — დღევანდელ საქართველოს აუცილებლად სჭირდება ნამდვილი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელსაც ხალხი ენდობა, რომელიც საზოგადოების არჩეულია და საქმარისად ავტონომიური იქნება იმისათვის, რომ ისეთი ცნებები, როგორცაა „კანონი“, „ხელისუფლება“ და ამგვარად რომ საქართველოს ყველა რეგიონში.

მეორეც ის, რომ საქართველოს ახსოვს მწარე გაცვეთილებები, როდესაც რომელიმე რეგიონში ატეხილი უთანხმოება, ან რომელიმე კერა დაძაბულობისა და დესტაბილიზაციისა საბედისწერო გამბდარა მთელი ერისათვის. ასე მოხდა ათას ცხრაას ოცდაერთ წელს, და თუ ფრთხილად არ ვიქნებით, შეიძლება იგივე განვიხილავდეთ დღესაც. თუ ადგილობრივ ხელისუფლებაში შეადგენენ ისეთი პიროვნებები, რომელთათვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისუფლება, დემოკრატია, არ იქნება უპირველესი მნიშვნელობის, მაშინ ეშვობ, რომ საქართველოში შეიძლება კვლავ შეიქმნას ისეთი დაძაბულობის კერები, და ამით, ალბათ, კიდევ უფრო შორს გადაიწევეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩემთვის უმკველია, რომ ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს და აქ მხოლოდ და მხოლოდ ჭანსაღმა, ერთგულმა ძალებმა უნდა გაიმარჯვონ. ამიტომ მოვალენი ვართ არჩევნები კანონის სრული დაცვით, ორგანიზირებულად ჩავატაროთ, რათა მივაღწიოთ ნაოცნებარ შედეგებს.

ენაზურა ირმა კახნიაშვილი

ერთ დროს თბილისი მხოლოდ დღევანდელი ძველი უბნით შემოიფარდებოდა, XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყება მშენებლობა ახლანდელი თავისუფლების მოედნიდან ვერისკენ. ამ პერიოდში თბილისში აშენებულ სახლებში ევროპული ხუროთმოძღვრების ყველა სტილია კაოვა გამოხატულება. სახლი სახლია და გარკვეული დროის შემდეგ შეეკეთება საჭიროებს. შეეკეთება კი, ბუნებრივია, თანხებს ითხოვს, ამ თანხების „უქონლობის“ გამო ბევრ თბილისურ სახლს გამოუტანეს დანგრევის განაჩენი.

ეს ვარდისფერი სახლი ყოფილი ძნელადი ქუჩაზე მდებარეობს, ოპერის უკან. აღმასკომის საბინაო სამსახურს ისიც დასანგრევად გაუწირავს. დანგრევის მიზეზი მისი ავარიული მდგომარეობაა. სახლს სიძირკველი ეშლებს, გრუნტის წყლების მიღებისა და კანალიზაციის უვარგისობის გამო. დანგრევა კი გადაუწყვეტიათ, მაგრამ იმას არავინ დაგდევეთ, რომ ეს სახლი XX საუკუნის 30-იან წლებშია აგებული და მის არქიტექტურაში ისეა შერწყმული ქართული და ევროპული სტილი, რომ არც ერთის პარამონია არ ირღვევა. თუკი ასეთ სახლებს არ გავუფრთხილდით, არ აღვადგინეთ, საძირკველი არ გავუშვარეთ და აღვავეთ მიწისაგან პირისა, მაშ რილათი ნანვასხვავით თბილისი ხარკოვისა და მინსკისაგან. მაგრამ ისიც ხომ ვათვლია, რომ აშენებაზე ადვილი ნგრევაა.

თუკი გრუნტის წყლებისა და კანალიზაციის მიღები არ შეეკეთა, ოპერის თეატრსა და ალ. ჰავაიანის ქუჩაზე ნაგებ სახლებსაც შეერყევთ საფუძველი. მაშ დავანგრეთ ისინიც?!

იქნებ ჯობდეს ადვადგინოთ და გავალამაზოთ ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი ქალაქის კოლორიტული ნაგებობანი, თითოეულ ასეთ სახლს ხომ თბილისის ცრემლი მიჰყვება თან.

ვეზინა ხალიგაურის ფოტო



რედაქტორი: ვარიბა აბაიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გაბაშვილი, თეოდორე კახიანი, თეოდორე კახიანი, თეოდორე კახიანი, თეოდორე კახიანი.

სადაც: თბილისი, მთაწმინდა, მთაწმინდა, მთაწმინდა, მთაწმინდა.

ფონი: 14, მთაწმინდა 66-81-87

ინფორმაცია: თბილისი, მთაწმინდა, მთაწმინდა, მთაწმინდა.

ფონი: 66421

ფონი: 66 კაპ.